საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000050868294420

№ 02-94-R 07 / ივნისი / 2020 წ.

# ბრძანება

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ინდივიდუალური გრაფიკით ასანაზღაურებელი მეცადინეობების განხორციელების შესახებ

საქართველოს კანონის ”უმაღლესი განათლების შესახებ” 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოთ მიმართულებების ხელმძღვანელებს იმ სტუდენტთა სიების შედგენა ინდივიდუალური სამეცადინო გრაფიკით უზრუნველყოფის მიზნით:
   ა) ვინც ტექნიკური აღჭურვილობის ან ინტერნეტის არ ქონის გამო ვერ მოახერხეს დისტანციურ სწავლებაში ჩართვა;
   ბ) ვინც ჩართული იყო „ნაწილობრივი სტატუსის“ მქონე დისციპლინებში, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო მათი მეცადინეობები არ ატარებდა სისტემატურ ხასიათს და სრულფასოვნად ვერ ისარგებლეს დისტანციური მეცადინეობებით.
2. ორივე კატეგორიის სტუდენტთა სია მიეწოდოს საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების დეკანებს.
3. პასუხისმგებლობა მიწოდებულ სიებზე დაეკისროს მიმართულების ხელმძღვანელებს.
4. სტუდენტებისათვის მეცადინეობების ანაზღაურება მოხდეს ინტენსიურ რეჟიმში სასწავლო დეპარტამენტის მიერ გაკეთებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით
5. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა შარიქაძე